*პროექტი*

# საქართველოს კანონი

## „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხლი 143) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ბ[1]" პუნქტი:

   ,,ბ[1]) დირექტორის ეთიკის კოდექსი - დირექტორის ქცევის წესების ერთობლიობა".

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ყ[1]" პუნქტი:

   ,,ყ[1]) მოსწავლის ქცევის კოდექსი - მოსწავლის ქცევის წესების ერთობლიობა."

3. 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ტ[1]" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ტ[1]) ამტკიცებს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო ოლიმპიადებთან დაკავშირებით დაადგინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი. "

4. 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ფ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფ) ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესს და საფასურს."

5. 26-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "შ¹.ი" და "შ¹.კ" ქვეპუნქტები:

"შ¹.ი) მოსწავლის ქცევის კოდექსს;
"შ¹.კ) დირექტორის ეთიკის კოდექსს. "

6. 28¹-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ლ¹" ქვეპუნქტი:

„ლ¹) მოსწავლის ქცევის კოდექსისა და დირექტორის ეთიკის კოდექსის შემუშავება."

7. 54-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წლის პირველ ოქტომბრამდე უზრუნველყოს ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ტ¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის მიღება."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*